პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 მარტი პარასკევი, 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 68 (14368)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი კარგახანია ჩაება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ნაკისრია გაზრდილი ვალდებულებები, რომელთა განაღდებისათვის ახლა თავდადებით შრომობენ მეტალურგები.

ამ საპატიო შრომითს ვახტზე ქარხანაში ერთ-ერთი პირველთაგანი დადგა და შეჯიბრებას წინ მიუძღვის მეფოლადეთა ბრიგადა, რომელსაც საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. სებისკვერაძე ხელმძღვანელობს.

სურათზე: გ. სებისკვერაძე. ფოტო ბ. სოკოლოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

კომუნისტების და უპარტიოების ბლოკის გამარჯვება

ცნობა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების კრებულობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

მონაცემები არჩევნების შედეგების შესახებ ქვეყნდება მასალების მიხედვით, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისაგან და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისაგან

კვირას, 1969 წლის 16 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები.

არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობდა მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაშლილი მოძრაობის ვითარებაში.

კენჭისყრა დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე ადგილობრივი დროით. არჩევნებმა მაღალი აქტივობისა და ორგანიზებულობის პირობებში ჩაიარა, კვლავ დაადასტურა რესპუბლიკის მშრომელთა ერთიანობა და მჭიდრო შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

არჩეული არიან სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების 67 რაიონული საბჭოს, 50 საქალაქო საბჭოს, ქალაქ თბილისის 7 რაიონული საბჭოს, 918 სასოფლო საბჭოსა და 51 სადაბო საბჭოს დეპუტატები. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო:

		კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი	
	ამომრჩეველთა საერთო რიცხვი	აბსოლუტური ციფრებით	პროცენტობით
საოლქო საბჭო	56.962	56.962	100,0
რაიონული საბჭოები	1.755.523	1.755.426	99,99
საქალაქო საბჭოები	1.301.951	1.301.899	99,99
ქალაქის რაიონული საბჭოები	559.569	559.561	99,99
სასოფლო საბჭოები	1.348.061	1.347.981	99,99
სადაბო საბჭოები	138.686	138.681	99,99

ამრიგად, თითქმის ყველა ამომრჩეველმა, გარდა უმნიშვნელო გამონაკლისისა, მონაწილეობა მიიღო არჩევნებში.

ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებმაც ხმა მისცეს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, შეადგენს:

	მიცემული ხმების რიცხვი	კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვის პროცენტი
საოლქო საბჭო	56.920	99,93
რაიონული საბჭოები	1.754.827	99,97
საქალაქო საბჭოები	1.301.415	99,96
ქალაქის რაიონული საბჭოები	559.343	99,96
სასოფლო საბჭოები	1.347.600	99,97
სადაბო საბჭოები	138.579	99,93

დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ მიცემული ხმების რიცხვი შეადგენს: საოლქო საბჭოს არჩევნებში — 42-ს ანუ 0,07 პროცენტს; რაიონულ საბჭოებში — 596-ს ანუ 0,03 პროცენტს; საქალაქო საბჭოებში 477-ს ანუ 0,04 პროცენტს; ქალაქის რაიონულ საბჭოებში — 215-ს ანუ 0,04 პროცენტს; სასოფლო საბჭოებში — 381-ს ანუ 0,03 პროცენტს; სადაბო საბჭოებში — 100-ს ანუ 0,07 პროცენტს.

15 ბიულეტენი ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მე-100 მუხლის საფუძველზე ბათილად ჩაითვალა.

ამრიგად, კენჭისყრის შედეგები მოწმობენ, რომ ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს.

ადგილობრივ საბჭოებში სულ არჩეულია 48.749 დეპუტატი. დეპუტატთა შორის არიან 22.069 ანუ 45,3 პროცენტი სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, 26.680 ანუ 54,7 პროცენტი უპარტიო, 31.929 ანუ 65,5 პროცენტი მუშა და კოლმეურნე, 22.098 ანუ 43,3 პროცენტი ქალი, 25.276 კაცი ანუ 51,8 პროცენტი არ ყოფილა შარშანდელი მოწვევის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი.

სასოფლო საბჭოების არჩევნების ერთ საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და არ არის არჩეული დეპუტატად. ამ საარჩევნო ოლქში გაიმართება ახალი არჩევნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

□ □ □

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგები

16 მარტს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში გაიმართა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. კენჭისყრა ყველგან დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე.

არჩევნებმა ჩაიარა ამომრჩეველთა მაღალი აქტივობისა და ორგანიზებულობის ვითარებაში. არჩევნები პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის ახალი მკაფიო გამოვლინება იყო.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა მიიღეს მონაცემები კენჭისყრის შედეგების შესახებ. ყველა არჩეული კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატია.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობდა 272.230 კაცი ანუ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,96 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა: რაიონული საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს — არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა 99,92 პროცენტმა, საქალაქო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს — 99,90 პროცენტმა, სასოფლო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს — 99,93 პროცენტმა, სადაბო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს — 99,37 პროცენტმა.

სულ ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია 5.136 დეპუტატი. მათ შორის 45 პროცენტს შეადგენს ქალები, 56,9 პროცენტს — უპარტიოები, 65,6 პროცენტს — მუშები და კოლმეურნეები.

176.922 კაცი მონაწილეობდა აჭარის ასსრ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნებში, რაც შეადგენს ამომრჩეველთა 99,99 პროცენტს.

დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა: რაიონული საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს — არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა, საქალაქო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს — 99,95 პროცენტმა, სასოფლო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს — 99,96 პროცენტმა, სადაბო საბჭოებისას — 99,93 პროცენტმა.

აჭარის ასსრ მშრომელთა დეპუტატების ყველა რაიონულ, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოებში არჩეულია 3.134 კაცი. დეპუტატთა შორის 45,7 პროცენტს შეადგენენ ქალები, 54,1 პროცენტს — უპარტიოები, 66,3 პროცენტს მუშები და კოლმეურნეები.

(საქდესი).

საბჭოთა დელეგაცია მოსკოვში დაბრუნდა

19 მარტს ბუდაპეშტიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მუშაობაში.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი** (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. თ. კატუშევი**, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი **ა. ა. გრეჩკო**, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე **კ. ვ. რუსაკოვი**.

• • •

ბუდაპეშტიდან მოსკოვში დაბრუნდნენ აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი **ი. ი. იაკუბოვსკი** და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი არმიის ვენერალი **ს. მ. შტემენკო** (საქდესი).

გაიხსნა მოსამზადებელი კომისიის სხდომები

მეიდინარე წლის 19 მარტს მოსკოვში მუშაობა დაიწყო კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოსამზადებელმა კომისიამ.

67 პარტიის წარმომადგენლებმა, რომლებიც მონაწილეობენ სხდომებში, მოისმინეს ცნობა კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირისათვის დოკუმენტთა პროექტების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შედეგების შესახებ და დაიწყეს მოსამზადებელი კომისიის წინაშე მდგომი საკითხების განხილვა.

ღირსშესანიშნავი თარიღი

20 მარტს მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, რომლებიც აქ შეიკრიბნენ, გულთბილად მიესალმნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს **დ. ნემეშს**, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს სსრ კავშირში **ი. სიპკას**, საელჩოს დიპლომატიურ თანამშრომლებსა და სხვა უნგრელ ამხანაგებს.

სტუმრებთან ერთად პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი **ა. ნ. შელეპინი**, სხვა პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი.

სხდომა გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ა. მ. კალაშნიკოვმა**.

ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სამუშაოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა **პ. ნ. ფედოსეევმა**.

შემდეგ სხდომის მონაწილეებს სიტყვით მიმართა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში **იოეფ სიპკამ**. (საქდესი).

საერთაშორისო აქტივის რესპუბლიკური კრებები

□ □

ხუთფლედის დავალებანი

20 მარტს გაიმართა რესპუბლიკის პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური კრება.

კრება გახსნა სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. ბუბგულაშვილმა**.

მოხსენება 1968 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგებსა და 1969 წლის ამოცანებზე გააკეთა საქართველოს სსრ პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **მ. ნარსია**.

კრების მონაწილეებმა იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის; თავიანთი კოლექტივების სახელით დამსწრეთ აღუთქვეს, რომ ღირსეულად შეხვდებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **შ. ჭანუყვაძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ბერდიაშვილი**, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი **ა. დეევი**. (საქდესი).

შედეგები და ამოცანები

20 მარტს გაიმართა რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს მუშაკთა აქტივის კრება. მოხსენება საქართველოს კავშირგაბმულობის ორგანოების 1968 წლის მუშაობის შედეგებისა და 1969 წლის ამოცანების შესახებ გააკეთა რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრმა **კ. ქავთარაძემ**.

განიხილეს რა 1969 წლის პრაქტიკული ამოცანები, კრების მონაწილეებმა იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, რათა ღირსეულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. გადაწყდა განაგრძონ ტრადიციული შეჯიბრება აზერბაიჯანის, სომხეთისა და ლატვიის კავშირგაბმულობის მუშაკებთან.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ა. ლაბახუამ**. (საქდესი).

მხოლოდ ხარისხოვანი ჩაი

თბილისის გორკის სახელობის კულტურის სასლში გაიმართა ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირზე განიხილეს ორი საკითხი: „საქართველოს ჩაის“ მრეწველობის მუშაობის 1968 წლის შედეგები და 1969 წლის ამოცანები“; „ჩაის მრეწველობის საწარმოების მიერ 1968 წელს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგებისა და 1969 წელს სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“.

მოხსენებებით გამოვიდნენ „საქართველოს ჩაის“ ტრესტის მმართველი ო. აბესაძე და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ს. ხასაშვილი.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. ბ. ჩრბოშვილმ.

თათბირზე ერთხმად მიიღეს 1969 წლის სოციალისტური ვალდებულებანი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ **მ. ჯაფარიძემ**, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მუშუეკი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგემ **შ. კულულაშვილმა**.

ხუთწლედი — ვადამდე!



თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს პირველი სესია

20 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეთორმეტე მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველი სესია.

სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა **დ. ლორთქიფანიძემ**.

სესიის თავმჯდომარედ აირჩიეს დეპუტატი **ი. შეშარდნაძე**, მდივნად — დეპუტატი **თ. წერეთელი**.

სესიის განსახილველად შემოაქვთ შემდეგი საკითხები:

1. თბილისის საქალაქო საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები;
2. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები;
3. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებათა და სამმართველოთა შექმნა და განყოფილებათა გამგეებისა და სამმართველოთა უფროსების დამტკიცება.
4. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მუდმივ კომისიათა შექმნა და კომისიათა თავმჯდომარეების დამტკიცება;
5. სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შექმნა და მისი თავმჯდომარის დანიშვნა.

სესიამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **პ. ცქიტიშვილის** მოხსენება არჩეულ დეპუტატთა რწმუნებების შემოწმების შედეგების შესახებ.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატები კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატები, მუშათა, მოსამსახურეთა, ინტელიგენციის, საბჭოთა არმიის მეომრების ღირსეული წარმომადგენლები არიან.

სულ არჩეულია 591 დეპუტატი, მათ შორის 307 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, 256 ქალი, 273 მუშა, რომლებიც უშუალოდ წარმოებაში არიან დასაქმებული.

დეპუტატთა შორის არიან ქართველები, რუსები, სომხები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ოსები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

სესიამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება და ცნო ახლად არჩეულ დეპუტატთა რწმუნებანი.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატს ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს. ვ. პ. მჟავანაძეს წინადადება შეაქვს აირჩიონ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი თავმჯდომარის, პირველი მოადგილის, თავმჯდომარის სამი მოადგილის, მდივნისა და აღმასკომის 13 წევრის შემადგენლობით.

დეპუტატ ვ. პ. მჟავანაძეს შეაქვს წინადადება, რომ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიონ დეპუტატი შ. ბუხრაშვილი, პირველ მოადგილედ — დეპუტატი თ. მოსაშვილი, თავმჯდომარის მოადგილეებად — დეპუტატები ზ. გოშაძე, ნ. ფმანია, ი. ურუშაძე, მდივნად — დეპუტატი ვ. ჩალაძე.

დეპუტატ შ. ბუხრაშვილის წინადადებით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრებად არჩეული არიან დეპუტატები ა. ბუაძე, ვ. გუგუნავა, ო. გოქაძე, ბ. დემეტრაძე, შ. კახიანი, ჯ. კეთილაძე, ა. კორშია, ო. ლოლაშვილი, კ. მეზრელიშვილი, ნ. ქორდანია, ჯ. სოხაძე, ვ. ქემაშვილი, ი. ჩხენკელი.

სესიამ შექმნა აღმასკომის 12 განყოფილება და 19 სამმართველო, დაამტკიცა განყოფილებათა გამგეები და სამმართველოთა უფროსები.

თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია დეპუტატი ვ. ჯანჯღავა.

სესიამ შექმნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს 16 მუდმივი კომისია.

ამით თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეთორმეტე მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველმა სესიამ მუშაობა დაამთავრა.

(საქდესი).

მსოფლიო დღეს

დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან

ქრონიკა • პრობლემები

დიდგვიშვნელოვანი ინიციატივა

ნიუ-იორკი, 20 მარტი. (საკდესი). ამერიკის გაზეთს **„ქრისჩენ საიენს მონიტორს“** შემოკლებით მოჰყავს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიმართვა ევროპის **ყველა ქვეყნისადმი.**

ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოები, წერს **„უნიტა“,** აცხადებენ, რომ მზად არიან განიხილონ ყოველი წინადადება, რომელიც ხელს შეუწყობდა სრულიად ევროპის თანმიერის მოწვევას. ამის ისინი ცხადყოფენ, რომ სავსებით მზად არიან კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

გაზეთი **„ავანტი“** წერს, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიმართვაში „აღნიშნულია მწვავე პრობლემები, რომლებიც უნდა გადაიჭრას ჩვენი კონტინენტის უშიშროების უბრუნველსაყოფად“. **„პაუზე სერა“, „ეპოლო“, „ტემპო“** და სხვა გაზეთები წერენ, თუ რა დიდი ინტერესით შეხვდნენ დასავლეთში ამ მიმართვას.

ოსლო, 20 მარტი. (საკდესი). ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის დოკუმენტებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ნორვეგიის პრესის ფურცლებზე. ბურჟუაზიული გაზეთებიც კი აღიარებენ ბუდაპეშტის თათბირის დიდ მნიშვნელობას ევროპის უშიშროებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრისათვის.

გაზეთი **„აფტენპოსტენი“** ხაზს უსვამს, რომ ღონისძიებები, რომლებსაც ახლა სოციალისტური ქვეყნები ახორციელებენ, „არის ცდა შეანელონ დაძაბულობა ევროპაში“.

ბეირუთი, 20 მარტი. (საკდესი). ლიბანის საზოგადოებრიობა და პრესა დიდ ინტერესს იჩენენ ბუდაპეშტის თათბირის დოკუმენტებისადმი. გაზეთები თვალსაჩინო ადგილს აქცევენ სრულიად შემოკლებით თათბირზე მიღებულ მიმართვას ევროპის ყველა ქვეყნისადმი.

გაზეთი **„ალ-ჯარიდა“** ხაზს უსვამს, რომ „ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები მოუწოდებენ მოეწყოს კონფერენცია ევროპის უშიშროების საკითხებზე“.

... „ზარბაზნების დიპლომატია“

ნიუ-იორკი, 19 მარტი. (საკდესი). **ინგლისი კვლავ უბრუნდება ტრადიციულ „ზარბაზნების დიპლომატიას“. ამჯერად ეს დიპლომატია მიმართულია კარიბის ზღვაზე მდებარე პატარა ანგილიის კუნძულის ურჩი მთავრობის წინააღმდეგ.** როგორც პრესა იუწყება, ამ კუნძულის ნაბირებისაკენ, რომლის მოსახლეობა 7 ათას კაცს არ აღემატება, ორი სამხედრო ხომალდით გაგზავნეს ყბადაღებული პოლკის „წითელი ეშმაკების“ მედესანტეთა ქვეგანყოფილება. მათ მიიღეს დავალება, რომ 48 საათის მანძილზე მოახდინონ ინტერვენცია, თუ კუნძულის მცხოვრებნი არ შეწყვეტენ „ამბოხებას“, ესე იგი თუ ისინი უარს არ იტყვიან 1967 წელს გამოცხადებულ დამოუკიდებლობაზე.

ინტერვენციის გამართლების საბაბით გაავრცელეს ვერსია, თითქოს ხელისუფლება ამ კუნძულზე მიიტაცა „განგსტერთა ჯგუფმა“. მაგრამ, როგორც ფაქტები მოწმობენ, ეს მტკიცება თეთრი ძაფით არის ნაკერი.

ანგილიის მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის განხორციელების სპეციალურ კომიტეტში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ჯერემია გამბსი. ამ წარმომადგენელმა თან წაიღო პეტიცია, რომელიც სავსებით ამხილებს ინგლისელთა შანეერების კოლონიზატორულ ბუნებას. მან კომიტეტის დელეგათა ყურადღებას ამახვილებინა ერთ-ერთ პოზიციის სიტუაციაზე, ინ... ინგლისელ ... ელ... ... ...

მხატვრის უკვდავება

NIKO PIROSMANÁCHVILI

პარიზი აღფრთოვანებულია ნიკო ფიროსმანაშვილის ხელოვნებით

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ ორი კვირის წინათ პარიზში, ლუვრის სასახლის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების დიდი გამოფენა, რომელმაც საფრანგეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების და პრესის ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

საგამოფენო ექსკურსიის მოამზადებასა და გახსნასთან დაკავშირებით საქართველოდან პარიზში მიწვეული იყვნენ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ზ. ლეჟავა და ხელოვნების მუზეუმის რესტავრატორი გ. მაჭაცარია, რომლებიც ამ დღეებში დაბრუნდნენ თბილისში.

ქვემოთ ვბეჭდავთ აკადემიკოს შ. ამირანაშვილის წერილს, რომელშიც მოკლედ მოთხრობილია პარიზში ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: მარცხნივ, ზემოთ — ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენის აფიშა; ქვემოთ — ფრანგული უურნალ-გაზეთები, რომლებშიც დაიბეჭდა მასალები ქართველი მხატვრის გამოფენის შესახებ; მარჯვნივ, ზემოთ, წინა პლანზე — ლუვრის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმის დირექტორი ფრანსუა მათეი (მარცხნივ), საფრანგეთის კულტურის მინისტრი ანდრე მალრო (შუაში) და აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი გამოფენის გახსნაზე; ქვემოთ — საფრანგეთის გვარდიის საპატიო ყარაული მიემართება გამოფენისაკენ.

მხრიდან დაესწრნენ საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მიშელ დებრე, დეკორატიული ხელოვნების გაერთიანების პრეზიდენტი ეშენნ კლავდიუს პტი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური ბიუროს წევრები როლანდ ლერუა, გიუი ბესი, ცენტრალური კომიტეტის წევრები ჟან შამბა, ჟან დენი და სხვები.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთის რესპუბლიკაში ვალერიან ზორინი და წარმომადგენლობის პასუხისმგებელი მუშაკები. გამოფენის შესასვლელ კართან, ასასვლელ კიბეზე იდგა საფრანგეთის გვარდიის საპატიო ყარაული.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ გამოფენაზე მოვიდნენ პარიზელი ქართველები, რომლებიც დიდი აღტაცებით და ჭეშმარიტი მღელვარებით შეხვდნენ ქართული ხელოვნების ბრწყინვალე გამარჯვების დღეს.

დეკორატიული ხელოვნების მუზეუმმა გამოაქვეყნა ნ. ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენის დასურათებული კატალოგი, რომელშიც მოთავსებულია საქართველოს კულტურის მინისტრის ო. თაქთაქიშვილის წინასიტყვაობა და ამ სტრიქონების ავტორის შესავალი წერილი ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ანდრე მალრო დიდი ყურადღებით და გულდასმით ეცნობოდა დიდი ქართველი ოსტატის თვითეულ ნაწარმოებს, აღნიშნავდა მხატვრული ხედვის თავისებურებას, მის ეროვნულ დამახასიათებელ ნიშნებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი ქართველი ოსტატის შემოქმედება ორგანულად დაკავშირებულია ხალხური ხელოვნების მხატვრულ ტრადიციასთან. იგი თავისებურია ასახვის მეთოდით და წარმოადგენს კაცობრიობის ხელოვნების საუნჯეს.

გამოფენის გახსნის შემდეგ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ საფრანგეთის პრესის წარმომადგენლები. მათს შეკითხვებზე პასუხის გაცემა დავალებული ჰქონდა ამ სტრიქონების ავტორს.

საფრანგეთის პრესა აღტაცებით აღნიშნავდა ქართველი ოსტატის შემოქმედების განსაკუთრებულ თავისებურებას, მის ეროვნულ ქართულ სახეს. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ საფრანგეთის დედაქალაქის პარიზის ხელოვნებისმცოდნენი, კრიტიკოსები და თანამედროვე ხელოვნების ისტორიკოსები დიდი-ხანია მოუთმენლად ელოდნენ ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენას პარიზში. ჯერ კიდევ ჟურნალ „კონტანსს დიუ მონდის“ 1966 წლის მარტის ნომერში დაიბეჭდა ნ. მრენბურგ-მანანტის წერილი: „ჰეშმარიტი ბენიოსი მხატვარი — ფიროსმანი“. ავტორი აცხადებს, რომ იგი პირადად იცნობდა ნ. ფიროსმანაშვილს.

ფრანგული პრესა გულთბილად გამოეხმაურა ნ. ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენას. გაზეთი „ფიგარო“ წერილში „საქართველოს ხალხური მხატვარი“ აღნიშნავს, რომ ქართველმა მხატვარმა სადა ენით უშუალოდ ასახა ძველი თბილისის ყოფაცხოვრება, თავისი ქვეყნის ბუნების სილამაზე, ცხოველთა სამყარო, საყვარელი სამშობლო, რომელიც ხიბლავს თავისი სილამაზით ფრანგების გულს. გულთბილი წერილი უძღვნა მწერალმა ლუი არაგონმა ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედების დახასიათებას ჟურნალ „ლეტრ ფრანსეზში“.

გაზეთ „მონდში“ გამოქვეყნდა ჩემი საუბარი ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედების შესახებ.

ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებთა გამოფენამ პარიზში ნათლად დაადასტურა ის უტყუარი ფაქტი, რომ ქართველი ოსტატი ეკუთვნის იმ ნიჭიერ მხატვართა რიცხვს, რომლებიც ფერწერის ჭეშმარიტი ოსტატები იყვნენ და აღიზარდნენ ხალხური ხელოვნების ტრადიციებზე.

ფიროსმანაშვილის შემოქმედება მკვეთრად განსხვავდება სხვა ქვეყნების ე. წ. „გულუბრყვილო“ მხატვრების შემოქმედებისაგან. თავისი ხელოვნების უბრალო ენით ნიკო ფიროსმანაშვილი მოგვითხრობს მშობლიური ხალხის ცხოვრების, ზნეჩვეულების, მისი ჭირისა და ლხინის ამბებს. ფიროსმანაშვილის მხატვრული მემკვიდრეობა აღგვჭედილია უბრალო ადამიანისადმი დიდი სიყვარულით, სიბრძნით, ჭეშმარიტი ოსტატობით. მის მიერ შექმნილი ნაწარმოებნი კაცობრიობის ხელოვნების საბანძურს ეკუთვნიან.

შ. ამირანაშვილი.

ფესტივალზე ჩილეში

ამ ზაფხულს ჩილეში, საბჭოთა და ჩილელი ახალგაზრდობის მეგობრობის ფესტივალზე გაემგზავრება თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს კლუბის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „სინათლე“.

ანსამბლი კარგად არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში. იგი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მთელი რიგი საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატია. მხატვრულ კოლექტივს ტაშს უკრავდნენ ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბელგიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ფინეთში.

„ფესტივალის მარგალიტი“ — ასე უწოდეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა თვითმოქმედი მსახიობების გამოსვლას მეშვიდე მუშათა ფესტივალზე ოდერის ფრანკფურტში. მათი ხელოვნება გაიცნეს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ქალაქების მცხოვრებლებმა, და ყველგან გაისმოდა შეძახილები „გულითადი მადლობა“, „დე მარად ცოცხლობდეს ჩვენი ხალხების მეგობრობა“.

ანსამბლის პროგრამაშია ლირიკული „სადარბაზო“, „სამაია“, მთიულური, ოსური, აჭარული და სხვა ცეკვები.

ანსამბლს ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები დ. კვაპანაძირაძე და მ. ლომთათიძე. (საქდესი).

ცხოვრების კარნახით

პარტიული მუშაკის დასაყმარებლად

ასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს ჩვენი გამომცემლობანი უფრო სწირად უშვებენ პარტიული მშენებლობის საკითხებისადმი მიძღვნილ წიგნებს. მაგალითად, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მკითხველებმა მიიღეს ისეთი საყურადღებო ნაშრომები, როგორიც არის: პ. რუდინოვის — „ეროვნებიერობა პარტიული ხელმძღვანელობის უაღლესი პრინციპია“, დ. გელაშვილის — „პარტიის მბრძოლი უჯრედები“, ბ. ბოგდანიძისა და ბ. ჩუბინიძის — „საზოგადოებრივი საწყისები პარტიულ მუშაობაში“, ავტორთა ჯგუფის ძეგული — „პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები“ და სხვ. პარტიული მშენებლობის საკითხებია გამუქებული ალ. მერცხულავას წიგნშიც — „პარტიის ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობა ახალ ეტაპზე“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გამოსცა.

სკკპ XXIII ყრილობა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში, მთელი მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში. იგი ახალი ეტაპია პარტიის ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობაში. ყრილობამ არა მარტო დასახა კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები ხუთწლედისათვის, არამედ ამასთან ერთად შეიმუშავა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებმაც კიდევ უფრო გაასაკლკლდეს ჩვენი პარტია ორგანიზაციულად და იდეურ-პოლიტიკურად, ხელი შეუწყო კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებას, პარტიულ მასებში შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას, საბჭოთა ადამიანების აღზრდას მაღალი კომუნისტური სულისკვეთებით.

კომუნიზმის გაშლილ მშენებლობას შეესაბამება ახალი, უფრო მაღალი ეტაპი თვით პარტიის განვითარებაში, მის პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ მუშაობაში. და სარეცენზიო ბროშურის ავტორის დამსახურებაც ის არის, რომ იგი მკითხველს უჩვენებს იმ ახალს, რაც ყრილობამ ლენინური ორგანიზაციული პრინციპების შემოქმედებითად განვითარებით მოგვცა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში პარტიის ხელმძღვანელი როლის ამაღლებისა და მასებში ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის.

ბროშურის პირველ თავში ავტორი დაწვრილებით განიხილავს ყრილობის მიერ დასახულ იმ გზებსა და ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებით ორგანიზატორული მუშაობა აყვანილ უნდა იქნას პოლიტიკური ამოცანების დონეზე. ამ ღონისძიებებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას თამამი რიგბის ხარისხრბრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, კომუნისტის ღირებისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის, მისი იდეური გამოწრთობისათვის.

ცნობილია, რომ პარტიის ორგანიზაციული მუშაობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონეზე, შინაპარტიული დემოკრატიის დაცვასა და მის შემდგომ განვითარებაზე, კადრების სწორად შერჩევასა და აღზრდაზე, შრომულების სისტემატური შემოწმების უზრუნველყოფაზე, საბჭოების, პროფკავშირებისა და კომკავშირის საშუალებით მასებში პარტიული გავლენის გაძლიერებაზე.

ყველა ამ მოთხოვნის განუხრელად შესრულება იმის საწინდარია, რომ თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის საქმიანობაში უფრო სრულყოფილად აისახოს ლენინური სტილის ისეთი ნიშნები, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის ხელმძღვანელი როლის ამაღლების ამოცანებიდან.

როგორც ბროშურაშია მითითებული, ეს ნიშნებია: მიღწეული შედეგების რეალისტური შეფასება, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება, მშრომელთა ინიციატივისა და თვითმოქმედების ამაღლება მათთან, პარტიის კავშირის განმტკიცების გზით, მასების დარწმუნებისა და მათი გაძღოლის მეთოდების დაუფლება, პრინციპული, მეცნიერული მიდგომა პოლიტიკის საკითხებისადმი, ამ საკითხების გადაჭრა ობიექტური პროცესების, პრაქტიკული გამოცდილებისა და ისტორიული პერსპექტივების გათვალისწინების საფუძველზე, მუშაობის ყველა რგოლში. პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების დაცვა და მისი სწორად შეხამება მინდობილი საქმისათვის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებასთან, შეურიგებლობა ყოველივე ჩამორჩენილისა და დრომოჭმულისადმი, არაობიექტურობისა, ბიუროკრატიზმისა, პარადულობისა, სასხდომო ფუსფუსისა და ლაყბობისადმი, მუშაობის პრაქტიკულად, საქმიანად წარმართვის უნარი.

ბროშურაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დთმობილი კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის გაშუქებას, რომელიც მუშაობის ლენინური სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი მკაცრის საშუალებით მასებში პარტიული გავლენის გაძლიერებაზე.

ყველა ამ მოთხოვნის განუხრელად შესრულება იმის საწინდარია, რომ თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის საქმიანობაში უფრო სრულყოფილად აისახოს ლენინური სტილის ისეთი ნიშნები, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის ხელმძღვანელი როლის ამაღლების ამოცანებიდან.

როგორც ბროშურაშია მითითებული, ეს ნიშნებია: მიღწეული შედეგების რეალისტური შეფასება, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება, მშრომელთა ინიციატივისა და თვითმოქმედების ამაღლება მათთან, პარტიის კავშირის განმტკიცების გზით, მასების დარწმუნებისა და მათი გაძღოლის მეთოდების დაუფლება, პრინციპული, მეცნიერული მიდგომა პოლიტიკის საკითხებისადმი, ამ საკითხების გადაჭრა ობიექტური პროცესების, პრაქტიკული გამოცდილებისა და ისტორიული პერსპექტივების გათვალისწინების საფუძველზე, მუშაობის ყველა რგოლში. პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების დაცვა და მისი სწორად შეხამება მინდობილი საქმისათვის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებასთან, შეურიგებლობა ყოველივე ჩამორჩენილისა და დრომოჭმულისადმი, არაობიექტურობისა, ბიუროკრატიზმისა, პარადულობისა, სასხდომო ფუსფუსისა და ლაყბობისადმი, მუშაობის პრაქტიკულად, საქმიანად წარმართვის უნარი.

ბროშურაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დთმობილი კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის გაშუქებას, რომელიც მუშაობის ლენინური სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი

— ბოდიში, — მითხრა ლენინმა, — როცა მე შევიდი მის კაბინეტში, — ეს ტამბოველი გლეხია და ჩვენ მასთან განვიხილავდით ელექტროფიკაციასთან, ელექტროენერგიზაციასთან და ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.

აი რა დიდ ანგარიშს უწევდა ვ. ი. ლენინი უბრალო ადამიანების აზრსა და წინადადებებს, მათს გამოცდილებას.

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ ორგანიზაციული მუშაობის ფორმები და პრაქტიკული მოღვაწეობის მეთოდები თვითმიზანი კი არ არის, არამედ საშუალებაა დასახული მიზნის განხორციელებისათვის. ორგანიზაციული მუშაობის მეთოდებს განსაზღვრავს პარტიის წესდება, რომელიც პარტიული. მშენებლობის საფუძველია. პარტიული მშენებლობის საკითხებისადმი შემოქმედებითი მიდგომა კი პარტიის ძლიერების წყაროა. სწორედ ამ საკითხებს აშუქებს ავტორი ბროშურის მეორე და მესამე თავებში.

წიგნის ამ თავებში განხილულია ის ღონისძიებები და ცვლილებები, რომლებსაც პარტია ახორციელებდა და ახორციელებს თავისი ორგანიზაციული იარაღის — წესდების სრულყოფისათვის. პარტიას თავის წესდებაში შეაქვს ცხოვრების მიერ ნაკარნახევი ცვლილებები და ახალი მოთხოვნების შესაბამისად სრულყოფს შინაპარტიულ ცხოვრებას, ორგანიზაციული მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. ამასთან, როგორც ავტორი აღნიშნავს, წესდებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ყოველთვის ემთხვეოდა ძირეულ ამოცანებს, მკვეთრ შემობრუნებას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ პარტია იშუშავებს ისეთ ორგანიზაციულ ფორმებს, თავისი შინაცხოვრების ისეთ წესებსა და ნორმებს რომლებიც უპასუხებენ მისი მოღვაწეობის ისტორიულ პირობებს და უზრუნველყოფენ ახალი ამოცანების წარმატებით გადაჭრას. სწორედ ამ ლენინური მითითებით იყო ნაკარნახევი ის ცვლილებები, რომლებიც პარტიის წესდებაში შეიტანა XXIII ყრილობამ.

მეოთხე თავში გაშუქებულია საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია პარტიის წევრის წოდებისა და მნიშვნელობის ამაღლებასთან. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში კიდევ უფრო იზრდება პარტიის წევრის როლი და პასუხისმგებლობა. ზრუნვა პარტიის რიგების სიწმინდისათვის, იმისათვის, რომ ყოველი კომუნისტი ღირსეულად ატარებდეს და ამართლებდეს სკკპ წევრის წოდებას — პარტიის, ყველა მისი ორგანიზაციის ცხოვრების კანონია.

კომუნისტთა აქტივობას განაპირობებს ბრძოლისუნარიანობა პირველადი პარტიული ორგანიზაციის, რომელიც ჩვენი პარტიის საფუძველს წარმოადგენს. ავტორი ვრცლად და საინტერესოდ აშუქებს ამ საკითხს. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მას შეეძლო ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებიდან მოეყვანა ბევრი ილუსტრაციული მაგალითი იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ასრულებენ კომუნისტები საწესდებო მოთხოვნებს, თუ როგორ იზრდება მათი ავანგარდული როლი კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

აღ. მერცხულავას ბროშურა კარგ დახმარებას გაუწევს პარტიულ მუშაკებს, რომლებიც პარტიის ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დაუფლებისათვის იღწვიან. ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბროშურა მეტად მცირე ტირაჟით არის გამოცემული. სამწუხაროდ, ეს გამონაკლისი როდია.

ვ. შავგულიძე.

პარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პლენუმი

გუშინ გაიმართა საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პლენუმი.

პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა **დ. აბუთაძე.**

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **გ. ანდრონიკაშვილი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ლოლაშვილმა.**

ᲬᲣᲜᲐᲠᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲝᲚᲙᲘ, 19 ᲛᲐᲠᲢᲘ. საკუთარი კორესპონდენტი **პეტრე ბარანოვი** იყო ჰოსპიტალში, ესაუბრა დაჭრილ მესაზღვრეებს, ვინც ვაქციურად და გაბედულად ებრძოდა ჩინელ პროვოკატორებს, რომლებმაც მოახდინეს შეიარაღებული თავდასხმა საბჭოთა კუნძულ დამანსკიზე. დაჭრილ მესაზღვრეთა უმრავლესობა უკვე კარგად გრძნობს თავს. ისინი, ვინც მონაწილეობდა ჩინელ ბანდიტებთან ბრძოლაში 2 მარტს, მოუთმენლად ელიან იმ დღეს, როცა კვლავ დაუბრუნდებიან მშობლიურ საგუშაგოებს.

— ჩვენი პაციენტები ძნელი მოსაღელნი არიან,—ამბობს ჰოსპიტლის უფროსი, სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკი ზაქარია დავითის-ძე ზასკინი, — თითქმის ყველა გადაკრით მოითხოვს ვადამდე გავწეროთ ჰოსპიტლიდან...

მთელი ჩვენი ქვეყნიდან მოსდით მესაზღვრეებს წერილები, დეპეშები, ღია ბარათები.

„ჩვენო ძვირფასო საბჭოთა მესაზღვრეებო! — წერენ, მაგალითად, ოდესელები. — ვამაყობთ თქვენი ვაქციაციებით და მამაცობით ჩინელ ავანტიურისტთა პროვოკაციული გამოხდომის მოგერიებისას. გვწამს, რომ კვლავაც ჯეროვან პასუხს გასცემთ ყველას, ვინც გაბედავს ჩვენი მშობლიური რუსული მიწაწყლის ხელყოფას!“

ასეთი დეპეშები მოდის მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, კიევიდან, მინსკიდან, თბილისიდან, გორკიდან...

— აი ეს კი დღეს მივიღეთ, — ვიტალი ბუბენნინი გვიჩვენებს ცოცხალ ყვავილების თაიგულს, — ისინი სოჭიდან სანატორიუმ „მეტალურგის“ მუშაკებმა გამოგვიგზავნეს.

...კუნძულ დამანსკი სათვის ბრძოლის მონაწილენი ასახელებენ ახალ გმირებს. ერთ-ერთი მათგანია მაიორი ივანე პეტრეს-ძე კოსინოვი. იგი 34 წლისაა, დაიბადა ლენინაკანის ოლქის ქალაქ ელეცში. იქ ცხოვრობენ ახლა მისი მშობლები — მამა ივანე ილიას-ძე და დედა ელენე პეტრეს ასული. ივანე კოსინოვი სევრლოვსკის სუვოროვის სახელობის სასწავლებლის აღზრდილია. ამავე ქალაქში დამთავრა სამხედრო სასწავლებელი, მოგვიანებით კი— მოსკოვის ფრუნზეს სახელობის აკადემია. სასაზღვრო ჯარებში 1965 წლიდან მსახურობს.

როცა 15 მარტს კუნძულ დამანსკიზე გაჩაღდა ბრძოლა, ჩინელ ჯარისკაცთა რაზმმა, არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლის საფარით, იერიში მიიტანა ეგეგენი ივანშინის მესაზღვრეთა ჯგუფზე. — მაიორი კოსინოვი დასაბამრებლად გაეშურა. ჯავშანტრანსპორტიორით მესაზღვრეთა ჯგუფთან ერთად იგი შეეჭრა ჩინელ ჯარისკაცთა რიგებში და შიშის ზარი დასცა მათ. დაუპატიჟებელმა სტუმრებმა ავტომატები დაყარეს და გაიქცნენ. მაგრამ ერთ-ერთმა დამრღვევმა, რომელიც საფარში იჯდა, გრანატსტყორცნით დაეხიანა მანქანა. მაიორი კოსინოვი დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ხელმძღვანელობას განაგრძობდა...

— ახლა თავს კარგად ვგრძნობ, — ამბობს კოსინოვი. — მიხარია, რომ ჩვენთან საზღვარზე მსახურობენ ასეთი სახელოვანი ჭაბიკები, ასეთი გაბედული მეომრები. ბევრი მაგალითი ხომ ოცი წლისაც არ არის. მაგრამ არც ერთი არ დაბნეულა ბრძოლაში. საჭიროების შემთხვევაში სერჟანტები და რიგითი ჯარისკაცები თვითონ უნარიანად წყვეტდნენ საქმეს, რათა ლახვარი ჩაეცით გათავხედებული ჩინელი პროვოკატორებისათვის. მტკიცედ გარ დარწმუნებული, რომ საბჭოთა მესაზღვრეები არასოდეს და არავის არ დაანებებენ დაუსჯელად, დაარღვიონ ჩვენი სამშობლოს წმიდათაწმინდა მიწაწყალი!

ამჟამ მეწმობენ კერძოდ, რეგითი ვლადიმერ კრუგლოვის მოქმედება. იგი იყო ორმოცეერ ეკვეენი ივანშინის ჯგუფში, რომელიც იცავდა კუნძულს და პირველი დაუხვდა ჩინელ ჯარისკაცთა რაზმის შემოტევას.

ვლადიმერ კრუგლოვი ციმბირელია. ლენინსკ-კუზნეცკში შეუფლიათ იამაყონ თავიანთი შვილით ამმამ—მემეკვიდრეობითმა მეშახტემ ვენადი ვლადიმერის-ძემ და დედამ — ანასტასია სიმონის ასულმა და ყველა მისმა თანამემამულემ. იგი უკვე ორი წელია საზღვარზე მსახურობს. სარდლობისგან მიღებული აქვს რამდენიმე მადლობა, დაჯილდოებულია ნიშნით „საბჭოთა არმიის წარჩინებული“.

რიგითი კრუგლოვი სხვებთან ერთად ხუთჯერ გადავიდა გაბედულად კონტრიერიშებზე ჩინელ პროვოკატორთა წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ხელი ეგდოთ კუნძული. ერიშებს შორის კი ჯგუფს მეთაურმა ეგეგენი ივანშინმა ორჯერ გაგზავნა ვლადიმერი, როგორც სანეგოესო და მოხერხებული მეომარი, საზვერავად.

15 მარტს კვლავ გამოიჩინა თავი იური ბაბანსკიმ, რომელიც პირველი პროვოკაციის დღეს, თავისი მეთაურის დაღუპვის შემდეგ ხელმძღვანელობდა ბრძოლას. იური რამდენჯერმე წავიდა საზვერავად. თავის ათეულთან ერთად იცავდა მესაზღვრეებს, რომლებსაც ბრძოლის ველიდან დაჭრილი ამხანაგები გამოჰყავდათ. ლეიტენანტი ვალერი გუბარევი მესაზღვრეთა ჯგუფთან ერთად ავანგარდსაფარ ერთად ჩასაფრდა და განაგრძობდა ბრძოლის ხელმძღვანელობას...

დამანსკის გმირებმა კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარების დიდების მატიანეში.

დამანსკის გმირები

უსურის ნაპირებზე

ᲜᲘᲙᲝᲤᲘᲠᲝᲕᲘᲩᲘ ᲝᲕᲙᲐ (ზღვისპირეთის მხარე), (საკუთარი სპეციალური კორესპონდენტები ბ. ბარანოვი და ი. მურავიანი). დღეს სოფელში განლაგებულ საგუშაგოზე ჩამოვიდა მესაზღვრეთა ჯგუფი, რომლებმაც ნებაყოფლობით გამოთქვეს სურვილი დაიცვან საბჭოთა საზღვარი ამ პასუხსაგებ უბანზე. მათ მიერ შეტანილი განცხადებანი განიხილეს კომკავშირულ კრებებზე. კუნძულ დამანსკის გმირთა საგუშაგოზე სამსახური საუკეთესო მესაზღვრებს ანდვეს.

საზღვრისპირა სოფლებში ვითარება ნორმალურია. იმანის რაიონის ყველა საბჭოთა მეურნეობამ ვადაზე დაამთავრა ტრაქტორების რემონტი და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომზადება საგაზაფხულო თესვისათვის. ახლა მთავრდება თესვისწინა უკანასკნელი სამუშაოები.

წარმატებით შრომობენ მეცხოველეები. საბჭოთა მეურნეობებმა „რაკეტინსკამ“ და „კალინინსკამ“ უკვე შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის მიყიდვის კვარტალური გეგმები.

დღეს საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა იმანის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ნ. ნ. გუსელნიკოვს მოახსენეს, რომ მათს მეურნეობებში ყველაფერი მზად არის ახალმოსახლეთა შესახვედრად, რომლებიც ორ დღეში აქ ჩამოვლენ.

კურორტები მშრომელთა ჯანმრთელობის სამსახურში

კურორტების განვითარების შესახებ ლენინის დეკრეტის 50 წლისთავის გამო

თბილისში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ღირსშესანიშნავ თარიღს — მშრომელთა საკურორტო მკურნალობისა და დასვენების ორგანიზაციის შესახებ ლენინის დეკრეტის 50 წლისთავს. რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერების, საქართველოს პროფსაბჭოს, დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების, ჯანმრთელობის დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაკები.

შესავალი სიტყვით სხდომა გახსნა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანმა **ო. ცანავამ.**

მოხსენება „საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების შესახებ ლენინის დეკრეტის 50 წელი“ გააკეთა საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **პ. ჩიკვილაძემ.**

სანატორიუმებისა და კურორტების მუშაკებს მიესალმა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საკურორტო სამმართველოს უფროსის მოადგილე **ა. სულამანიძე.** პროფკავშირთა კურორტების მართვის ცენტრალური საბჭოს მეთოდური განყოფილების გამგემ **მ. კომისაროვამ** თქვა, რომ ლენინური დეკრეტის 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს ჯანმრთელობის კერების მუშაკთა დიდი ჯგუფი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, დაჯილდოდა საპატიო სიგელებითა და სამკერდე ნიშნებით „ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებული“.

საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე **დ. ლაშქარაძე,** საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **შ. ყარყარაშვილი,** საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ლ. საყვარელიძე,** საქართველოს პროფსაბჭოს მდივნები **ვ. ფოლობერიძე** და **დ. ოსელიანი.** (საქდესი).







ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ მზემ პირველი სხივები უხვად დაფრქვია ბაკურიანს. ბროლივით აელვარდა თოვლით დაფარული კოხტაგორის ფერდობები. სწორედ ამიტომ მისჩერებია თოვლიანი მთის სილამაზით მოჯადოებული გოგონა კოხტაგორას (სურათზე ზემოთ მარცხნივ). ამ ჭაბუკს კი მხოლოდ მზე აინტერესებს (სურათზე ქვემოთ მარცხნივ). ასეთი „ჩურჩხელები“ ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია ბაკურიანში (სურათზე ზემოთ მარჯვნივ)

ფოტო ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲒᲛᲘᲠ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲡ

ᲑᲐᲣᲗᲛᲘ. (საკ. კორ.). კუნძული დამანსკი — ასე აწერია ამანათებს, რომლებიც ამ დღეებში ბათუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყოს“ № 2 საამქროს კოლექტივმა გაუგზავნა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვარზე ჩინეთის ხელისუფალთა მიერ მოწყობილი პროვოკაციების დროს დაჭრილ მესაზღვრეებს.

„გულითადი მადლობა თქვენ, მამაცო საბჭოთა მესაზღვრებო, რომლებმაც პირნათლად შეასრულეთ თქვენი მოვალეობა სამშობლოსა და ხალხის წინაშე. ვამაყობთ თქვენი გმირობით, გაბედულად რომ შეებით საზღვრის დარღვევეთ და გარეკეთ ისინი საბჭოთა ტერიტორიიდან. ასე იქნება მომავალში, თუ თავგასული ჩინელი ნაციონალისტები შეიცდებიან ჩვენი სამშობლოს წმიდათა-წმიდა საზღვრების დარღვევას“, — სწერენ ბათუმელი მუშები სამშობლო მიწის შეუდრეკელ დამცველებს.

ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ...

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ?

ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ, გაზაფხულის დადგომისთანავე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექცია რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში აწყობს ავტოტრანსპორტის ტექნიკური შემოწმებას, რათა გამოარკვიოს ავტომოტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობა და ის, თუ რამდენად მზად არიან საავტომობილო მეურნეობანი დასახული ამოცანების შესასრულებლად. წელს ტექნიკური შემოწმება საქართველოს სახელმწიფო ავტოტრანსპორტისათვის დაიწყო და 20 მაისამდე გაგრძელდება.

ტექნიკური შემოწმება უნდა გაიაროს სახელმწიფო ავტოინსპექციაში მუდმივ ან დროებით აღრიცხვაზე მყოფმა, აგრეთვე აღრიცხვაზე ყასაყანმა ყველა ავტომობილმა, ავტოსაწვრვრებმა, მისაბმელებმა, ნახევრადმისაბმელებმა, მოტოციკლებმა, მოტოროლერებმა და მოპედებმა, რომელთა ძრავის სამუშაო მოცულობა 49,8 კუბურ სანტიმეტრზე ნაკლები არ არის.

სატრანსპორტო მეურნეობათა ხელმძღვანელები და სატრანსპორტო საშუალებათა ინდივიდუალური მფლობელნი ვალდებული არიან ტექნიკური შემოწმების დაწყებამდე ჯეროვნად მოაწესრიგონ ეს საშუალებანი. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეგატების, მექანიზმებისა და დეტალების მდგომარეობას, რომელთა უწესივრობანი ემუქრება მოძრაობის უსაფრთხოებას, ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ფარების შუქის რეგულირების, ავტობუსებსა და სატვირთო ავტომობილებზე ხანძარსაქრობ საშუალებათა სისწორეს.

ექსპლოატაციაში არ უნდა დაუშვათ სატრანსპორტო საშუალებანი, რომელთა მდგომარეობა ემუქრება მოძრაობის უსაფრთხოებას.

მოსამზადებელი ღონისძიებანი და ტექნიკური შემოწმება უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ ავტობარკის ტექნიკური მდგომარეობა და ავტომობილების გარეგნობა, სატვირთო ავტომობილებისა და მისაბმელებზე შეიღებოთ და დავაწერეთ დუბლირებული სანომრო ნიშნები.

ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე იმას, რომ აღიკვეთოს ავტომობილებისა და მოტოციკლების, ისეთი უწესივრობანი, რომლებიც ქმნიან დიდ ხმაურს, იწვევენ კვამლს, ზეთისა და საწვავის გადინებას.

სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობა შეფასდება იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია მათი ძირითადი აგრეგატები, მექანიზმები და ხელსაწყოები, რომლებიც დადგმულია შემოწმების მომენტში.

ტექნიკური შემოწმების დაწყებამდე ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებმა, აგრეთვე ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი, უნდა წარადგინონ მძღოლის მოწმობა და ქვითარი, რომ მთლიანად გადახდილი აქვთ დადგენილი წესიერი გადასახადი. თუ მათ არ შეუძლიათ შესამოწმებლად წარადგინონ ავტომობილი ან მოტოციკლი, მაშინ პირადად ან ნდობით აღჭურვილი პირის საშუალებით სახელმწიფო ავტოინსპექციაში. უნდა წარადგინონ ამ მიზეზების წერილობითი ახსნა, აგრეთვე ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი. (ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე-მეორე ათასწლეული).

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲜᲐᲙᲝᲜᲓᲐ, სამრთველოს სამინისტროს ავტოინსპექციის ინდიელები ძიძებად.

ᲐᲜᲐᲙᲝᲜᲓᲐ ᲨᲣᲑᲠᲝᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲨᲔᲑᲐᲛᲘᲐᲜ ᲒᲕᲘᲜᲓᲔᲑᲘ, რომლებითაც სავსეა ჯუნგლები. მშობლები მთელ დღეს ანაკონდის მფარველობით ტოვებენ ჩვილ ბავშვებს და დამშვიდებული მიდიან სანადოროდ თუ სამუშაოდ. იციან, რომ ანაკონდაზე თავდასხმას ვერც ერთი მხეცი ვერ გაბედავს. ამას იუწყება ჟურნალი „ზნანიე სილა“.

ᲜᲐᲮᲔᲕᲜᲘ ᲢᲐᲠᲮᲣᲐᲨᲘ

ᲢᲠᲘᲙᲝᲚᲘ. ქალაქ ტარხუას ჩრდილო-დასავლეთით ორ კილომეტრზე იპოვნეს კლდეზე ამოკვეთილი 16 გამოსახულება. ამას იუწყება ბერესა. ფიგურებს შორის გამოსახულია ცხოველები, რომლებსაც ახლაც შეხვდებით ლიბიის ტერიტორიაზე. ფიგურების ზომა 50 სანტიმეტრიდან 3 მეტრამდე აღწევს. არქეოლოგებმა დაასკვნეს, აღნიშნავს პრესა, რომ ეს გამოსახულებები უნდა ეკუთვნოდეს ნეოლითის პერიოდს. (ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე-მეორე ათასწლეული).

ᲐᲜᲐᲙᲝᲜᲓᲐ —ᲫᲘᲫᲐ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲜᲐᲙᲝᲜᲓᲐ, სამხრეთამერიკული გიგანტური მახრჩობელა გველები, ადვილად ეჩვევიან ადამიანებს. სამხრეთამერიკელი ინდიელები მათ ხშირად იყენებენ ძიძებად. ანაკონდები შუებრალულად უსწორდებიან შხამიან გველებს, რომლებითაც სავსეა ჯუნგლები. მშობლები მთელ დღეს ანაკონდის მფარველობით ტოვებენ ჩვილ ბავშვებს და დამშვიდებული მიდიან სანადოროდ თუ სამუშაოდ. იციან, რომ ანაკონდაზე თავდასხმას ვერც ერთი მხეცი ვერ გაბედავს. ამას იუწყება ჟურნალი „ზნანიე სილა“.

ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲖᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲝᲠᲒᲜᲘᲖᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲕᲘᲗ ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲨᲘ

ᲑᲘᲒᲠᲐᲚᲢᲐᲠᲘᲡ სრუტიდან გასელისთანავე სამჭოთა ტანკერის „ტალსის“ შტურმანმა ოკეანეში შენიშნა მსუბუქი ნავი, რომელსაც ინგლისელი ი. ფაირფალი მართავდა. ი. ფაირფალს განზრახული აქვს გადაცუროს ატლანტის ოკეანე. თავისი მოგზაურობა მან 1969 წლის 20 იანვარს გრან-კანარის კუნძულიდან დაიწყო. ძლიერმა დასავლეთის ქარებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ნავის კურსი. და აი... მოულოდნელი შეხვედრა ოკეანეში საბჭოთა გემთან. ტანკერის გემბანზე მეზღვაურები გულთბილად, სტუმართმოყვარულად შეხვდნენ მამაც მოგზაურს.

ი. ფაირფალმა მეზღვაურებს მოუთხრო თავისი მოგზაურობის შესახებ. იგი თავს კარგად გრძნობს. 31 წლისაა. ასეთ საკონტინენტთაშორისო მოგზაურობაში იგი პირველად არის და ცურვის დამთავრების შემდეგ აპირებს წიგნი დაწეროს.

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ...

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ?

Ა. Გ. ᲙᲘᲩᲮᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ლითონთა ტექნოლოგიის კათედრის დოცენტმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა არჩილ გრიგოლის-ძე კიჩხუაშვილმა ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ᲕᲔᲜᲘᲡᲮᲘᲡ ᲠᲘᲒᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲔᲑᲨᲘ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲮᲘᲖᲣᲡᲢᲘᲡ ᲐᲡᲐᲛᲐᲚᲚᲔᲑᲚᲐᲓ“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ა. გ. კიჩხუაშვილისათვის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ᲨᲕᲔᲓᲔᲒᲘᲡ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

ᲕᲘᲡ ᲣᲚᲘᲛᲘᲡ „ᲔᲜᲫᲔᲚᲐ“?

ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის — „ენძელას“ თასის გათამაშება. გუნდები გაყოფილი არიან ოთხ ჯგუფად. მიმდინარეობს წინასწარი შეხვედრები. ქვეჯგუფში გამარჯვებულნი მოაწყობენ ნახევარფინალურ მატჩებს, შემდეგ კი შედგება ფინალი.

პირველ ჯგუფში ნახევარფინალში გასვლის რეალური შანსები აქვს დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდს. არმიელ ფეხბურთელებს 5 ქულა აქვთ. მეორე ჯგუფში წინ არიან დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ (5 ქულა) და კრასნოდარის „ყუბანი“ (4 ქულა). მესამე ჯგუფში 6 ქულით ნახევარფინალში მონაწილეობა გაიანდა თბილისის „დინამომ“. მეოთხე ჯგუფში 5 ქულით ლიდერია ლუგანსკის „ზარია“.

წინასწარი შეხვედრები 24 მარტს დამთავრდება. ნახევარფინალური მატჩები შედგება 27 მარტს, ფინალური შეჯიბრება კი — 30 მარტს.

ᲠᲘᲒᲘᲡ ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲖᲔ

ᲧᲐᲖᲐᲜᲨᲘ დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირადი პირველობის გათამაშება კრივში 5 წონითი კატეგორიის სპორტმენთათვის. მონაწილეობდა 162 მოკრივე. ასპარეზობა მიმდინარეობდა ახალი სისტემით. თვითეულ წონაში გამოდიოდა 32 მოკრივე.

ჩემპიონები გახდნენ — ნ. ნოვიკოვი, ვ. სოკოლოვი, ე. ფროლოვი, ვ. ტრეგუბოვი და ნ. რაზუმოვი.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ

სპორტის მოყვარულთა ყურადღება მიპყრობილია სტოკჰოლმის „იუბანეს ჰოფის“ ცნობილ სტადიონზე, სადაც მიმდინარეობს მსოფლიოს პირველობის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში.

უკანასკნელი შეხვედრებიდან ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობას შვეიცარიასა და ჩეხოსლოვაკიის 19 მარტის მატჩი წარმოადგენდა. შვედებმა გვიჩვენეს ჩინებული ბრძოლა, შემტევი ოკეი.

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. ისინი ამ ერთადერთი შაიბის უპირატესობას დიდხანს ინარჩუნებდნენ და მოსალოდნელი [illegible] ასპარეზობაც ასევე დამთავრ[illegible] ბოდა, მაგრამ უკანასკნელ წუთებში შვედებმა კიდევ ერთხელ [illegible] ღეს მეტოქის კარი და გაიმარ[illegible] 2:0.

გუშინ საპრიზო ადგილების მთავარი პრეტენდენტები — სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცარიის გუნდები ისვენებდნენ. კანადელებმა მოუგეს ამერიკელებს 5:0.

დღეს შედგება ორი თამაში, მათ შორის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის წყალბურთელთა ერთ-ერთმა უძლიერესმა კოლექტივმა — სამხეთრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო კლუბის გუნდმა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ეტაპი ისე დამთავრა, რომ არც ერთი ქულა არ დაუკარგავს და ლიდერად ითვლებოდა.

ამის შემდეგ ათივე გუნდმა თავი მოიყარა გორკში და აქ გაგრძელეს ბრძოლა. ლიდერისათვის პირველი წრის დასკვნითი ეტაპი არასახარბიელო აღმოჩნდა. სამხეთრო-საზღვაო ფლოტის წყალბურთელებმა პირველი დამარცხება დედაქალაქის ტორპედოელებისაგან იგემეს, მაგრამ ეს ერთადერთი როდი აღმოჩნდა, მეზღვაურებმა მეორე შეხვედრაც წააგეს, ამჯერად ჩვენი ქვეყნის ორეერთგზის ჩემპიონთან მოსკოვის „დინამოსთან“ ანგარიშით 2:4 და გაიოარესეს სატურნირო მდგომარეობა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲐᲜ

19 ᲛᲐᲠᲢᲘ გაიმართა კალათბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ვაჟთა გუნდების მორიგი მატჩები. აი მათი შედეგები:

ტარტუს „კალევი“ — თბილისის „დინამო“ — 94:79 (49:36), რიგის არმიის სპორტული კლუბი — კაუნასის „ჟალგირისი“ — 85:82 (34:33), კიევის „სტროიტელი“ — თბილისის „ბურევესტნიკი“ — 73:65 (36:25).

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა ამ გუნდების მეორე შეხვედრები.

ᲗᲐᲠᲢᲣᲨᲘ ადგილობრივმა „კალევმა“ კვლავ დამარცხა თბილისის „დინამო“, ამჯერად 89:72.

ᲧᲐᲠᲐᲨᲐᲢᲔᲑᲚᲐᲓ გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის მეორე გუნდიც — თბილისის „ბურევესტნიკი“. იგი კიევში მეორეჯერ დამარცხდა „სტროიტელთან“ მატჩში 53:74.

ᲛᲔᲝᲠᲔ დამარცხება განიცადა აგრეთვე კაუნასის „ჟალგირისმა“ რიგის სკა-სთან ანგარიშით 81:84.

ᲡᲢᲐᲠᲢᲘ ᲐᲘᲦᲔᲡ

მინსკში დაიწყო საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი ცურვაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. იგი საიუბილეოა, ეწყობა ოცდამეხუთეჯერ. მონაწილეობენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, კანადისა და სსრ კავშირის უძლიერესი მცურავები.

100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში წარმატება ხვდა მსოფლიო რეკორდმეჭეს ნ. პანკინს. მან აჩვენა დრო — 1 წუთი და 7 წამი, რომელიც წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგია მსოფლიოში. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ქალთა შორის უძლიერესი იყო მ. პოტოჩი (უნგრეთი) — 1 წუთი და 2,7 წამი. ვაჟთა შორის — ხაბაროვსკელი მ. კულაკოვი — 54,5 წამი. ბატერფლაის სტილით 100 მეტრზე ცურვაში გაიმარჯვა ლენინგრადელმა ა. გორდეევმა — 59,5 წამი, ხოლო ამავე დისტანციაზე გულაღმა ცურვაში — კანადელმა ე. ტენერმა.

ტურნირი 23 მარტამდე გაგრძელდება.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲖᲘᲐᲜᲘ ᲗᲣ ᲖᲐᲠᲘᲪᲮᲕᲘ?

ᲒᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠᲘ ფინეში აქვს ჩასვლა ლ. პოლუგაევსკის. ᲬᲝᲜᲐᲡᲬᲠᲝᲑᲐ აღადგინა, ანგარიში გახდა 2:2. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეხუთე პარტიას. იგი შედგა 19 მარტს. მეტოქენი არ ცდილან ბრძოლის გაგრძელებას, ძალზე ფრთხილობდნენ და 31-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

მატჩის ანგარიშია 2,5:2,5. უკანასკნელი — მეექვსე პარტია შედგება დღეს. თუ ამ შეხვედრამაც ვერ გამოავლინა ჩემპიონი, მეტოქენი ბრძოლას განაგრძობენ პირველ მოგებამდე.

ᲗᲔᲗᲠ ᲑᲘᲚᲘᲙᲔᲑᲖᲔ

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲨᲘ რამდენიმე დღეს გრძელდებოდა სამთო მოთხილამურე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. მეტოქეებს პაექრობა ჰქონდათ სწრაფდაშვებაში, გიგანტურ და სპეციალურ სლალომში. ცნობილია ჩემპიონები, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები.

სამგზიდში გამარჯვებულის გამოსავლინებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შეჯიბრებას სპეციალურ სლალომში. ამ სახეობაში წარმატებით გამოვიდა საზოგადოება „ბურევესტნიკის“ მოთხილამურე ა. ტორბოსინი. მეორე ადგილი დაიკავა მოსკოველმა მოთხილამურე ტ. მონასტირიოვმა, მესამე — ბელოკლინინმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „ბურევესტნიკის“ სამთო მოთხილამურეებმა.

ᲛᲝᲐᲮᲚᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲜᲔᲗᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ დასასრულს უახლოვდება საქართველოს საიუბილეო პირველობის გათამაშება რუსულ შაშში. ლიდერია ოსტატობის კანდიდატი ი. სპესივცევი, რომელსაც ექვსიდან 5 ქულა აქვს. 4 ქულა შეაგროვა გ. მინასიანმა. მესამე ადგილზეა თამაზ ბარამიძე — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘ ᲗᲣ ᲖᲐᲘᲪᲔᲕᲘ?

როგორც ვიუწყებოდით, მეოთხე პარტიაში ლ. პოლუგაევსკის წონასწორობა აღადგინა, ანგარიში გახდა 2:2. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეხუთე პარტიას. იგი შედგა 19 მარტს. მეტოქენი არ ცდილან ბრძოლის გაგრძელებას, ძალზე ფრთხილობდნენ და 31-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

მატჩის ანგარიშია 2,5:2,5. უკანასკნელი — მეექვსე პარტია შედგება დღეს. თუ ამ შეხვედრამაც ვერ გამოავლინა ჩემპიონი, მეტოქენი ბრძოლას განაგრძობენ პირველ მოგებამდე.

ᲗᲔᲗᲠ ᲑᲘᲚᲘᲙᲔᲑᲖᲔ

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲨᲘ რამდენიმე დღეს გრძელდებოდა სამთო მოთხილამურე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. მეტოქეებს პაექრობა ჰქონდათ სწრაფდაშვებაში, გიგანტურ და სპეციალურ სლალომში. ცნობილია ჩემპიონები, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები.

სამგზიდში გამარჯვებულის გამოსავლინებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შეჯიბრებას სპეციალურ სლალომში. ამ სახეობაში წარმატებით გამოვიდა საზოგადოება „ბურევესტნიკის“ მოთხილამურე ა. ტორბოსინი. მეორე ადგილი დაიკავა მოსკოველმა მოთხილამურე ტ. მონასტირიოვმა, მესამე — ბელოკლინინმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „ბურევესტნიკის“ სამთო მოთხილამურეებმა.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲠᲐᲓᲘᲝ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 22 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართველ კომპოზიტორთა საორკესტრო პიესები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — პოპულარული საოპერო მუსიკა, 09.30 — რუსეთის „ბურევესტნიკი“ — 73:65 (36:25).

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა ამ გუნდების მეორე შეხვედრები.

ᲗᲐᲠᲢᲣᲨᲘ ადგილობრივმა „კალევმა“ კვლავ დამარცხა თბილისის „დინამო“, ამჯერად 89:72.

ᲧᲐᲠᲐᲨᲐᲢᲔᲑᲚᲐᲓ გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის მეორე გუნდიც — თბილისის „ბურევესტნიკი“. იგი კიევში მეორეჯერ დამარცხდა „სტროიტელთან“ მატჩში 53:74.

ᲛᲔᲝᲠᲔ დამარცხება განიცადა აგრეთვე კაუნასის „ჟალგირისმა“ რიგის სკა-სთან ანგარიშით 81:84.

ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ?!

ᲪᲡᲙᲐ-Მ „ᲠᲔᲐᲚᲘ“ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ

ᲓᲘᲓ ინტერესს იწვევდა მეოთხედფინალური მატჩი მადრიდში ევროპის ჩემპიონთა თასზე კალათბურთში ადგილობრივი — „რეალისა“ და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის (მოსკოვი) გუნდებს შორის. შეჯიბრებას 6.000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო. ბრძოლა შეუპოვარი გამოდგა. საბჭოთა კალათბურთელებმა განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარეს მეორე ნახევარი და გაიმარჯვეს ანგარიშით 69:67 (31:33). ყველაზე მეტი ქულა (21) საბჭოთა გუნდს მოუტანა ანდრეევმა.

„რეალი“ საკუთარ მოედანზე იშვიათად განიცდის წარუმატებლობას, ამიტომ მისი დამარცხება აქ სენსაციად მიიჩნიეს. „რეალის“ გუნდში თამაშობდნენ ამერიკელები აიკენი და ბრებენდერი. ამ გუნდების მეორე მატჩი შედგება მოსკოვში 27 მარტს.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

— საესტრადო-გასართობი პროგრამა (გადმოიცემა მოსკოვიდან), 11.30 — ტელეპანორამა, 17.25 — ახალი ამბები, 17.30 — ცენტრალური ტელევიზიის ფირადი პროგრამა: 1. ნახატი ფილმი ბავშვებისათვის. 2. ოლეგ ეფრემოვის შემოქმედებითი პორტრეტი, 19.00 — დოკუმენტური ფილმი „მიხაი ზიჩი“ (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები). 19.40 — „ინოფფიზა, 20.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — მხატვრული ფილმი „შემოიგომის ქორწილობი“, 21.45 — კინონარკვევი, 22.00 — „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

● კვირა, 23 მარტი

09.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად ლექცია მათემატიკაში, 10.15 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1942 წელი (ქართულ ენაზე), 16.30 — მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში: საბჭოთა კავშირი-ამერიკის შეერთებული შტატები (გადმოცემა სტოკჰოლმიდან), 17.15 — კინონარკვევი, 17.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.00 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — გადაცემა — „ახალგაზრდობა დიად იუბილეს“, 19.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 19.50 — ცენტრალური ტელევიზიის ფირადი პროგრამა „მეგობრობის მელოდიები“, 20.30 — გადაცემა „გალაკტიონი“, 21.30 — „შვიდი დღე“ — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — საკვირაო გასართობი პროგრამა, 22.30 — გადაცემა „უნგრული კინოს ახალი თაობა“.

● ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 24 ᲛᲐᲠᲢᲘ

11.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.35 — „ჩვენი კინოდარბაზი“. 19.00 — საქართველოს ტელევიზიის ფირადი პროგრამა. ბავშვებისათვის. „ზღაპრების სკივრი“. 19.30 — „მშობლთა ტელეუნივერსიტეტი“. „ბავშვთა ჰიგიენური აღზრდის ძირითადი საკითხები (ტუდიაში — პროფესორი ა. ყანჩელი), 19.45 — მუსიკალური გადაცემა „ბაღლო სარასაატ“, 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — იუგოსლავიური მხატვრული ფილმი „ნაბიჯები ნისლში“, 22.00 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში. საბჭოთა კავშირი-შვეიცარია (გადმოცემა სტოკჰოლმიდან).

● ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 25 ᲛᲐᲠᲢᲘ

18.00 — ახალი ამბები, 18.05 — განცხადებები, 18.10 — ბავშვებისათვის. „საყმაწვილო ლიტერატურის მოამბე“, 19.00 — საბჭოთა კავშირის პირადი ჩემპიონატი კრივში. ფინალი (გადაცემა სარატოვიდან), 20.30 — დიმიტრი შოსტაკოვიჩის მეოთხე კვარტეტი, 21.10 — საქართველოს ტელევიზიის ფირადი პროგრამა. 1. „პალიტრა“; 2. „ლუბუსი“, 22.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. „ვინ გვარცხვენს“, 22.35 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

● ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 ᲛᲐᲠᲢᲘ

11.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები და რეკლამა, 18.20 — ბავშვებისათვის. „ვიმოგზაურთოთ დედამიწის გარშემო“ — ჰოლანდია, 19.00 — „მუსიკის სამყაროში“ — სატელევიზიო მიმოხილვა, 20.00 — „მსოფლიო დღეს“, 20.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. საბჭოთა კავშირი-ფინეთი (გადმოცემა სტოკჰოლმიდან), 21.30 — გადაცემა „ქალაქს რომ მშვიდად ეძინოს“, 22.15 — ა. სამსონია. „წყალდიდობა“. სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან).

● ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 27 ᲛᲐᲠᲢᲘ

17.55 — ახალი ამბები, 18.00 — ცენტრალური ტელევიზიის ფირადი პროგრამა. „მღერის რენა როლსკა“, 19.00 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“. საუბარი „ფერდობების ათვისების ახალი ტექნოლოგია“, 19.20 — საქართველოს ფირადი ტელევიზიის კინოდარბაზი. „მხატვრული ფილმი „ბიბოლიტი—66“. 21.00 — გადაცემა „გეგმა, ხარისხი, მოგება“, 21.20 — კონცერტი, 22.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.25 — „თეატრის საერთაშორისო დღე“.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 21 ᲛᲐᲠᲢᲘ

Ზ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲐ